პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 1 მარტი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კაპ.

# წითელი არმიელი

№ 46 (734) 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა ტელ. 2—24

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც' ნომპარელის სტრიქონ სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განც ხადებები მორიგნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

## ბჭოთა კავშირის მე-3-მე სესიის გახსნის გამო.

ხვალ, ორ მარტს თბილის-
ი გაიხსნება საბჭოთა კავში-
ის ცენტრალურ აღმასრულე-
ლ კომიტეტის მე-3 სესია.
ეს უდიდესი ისტორიული
მნიშვნელობის ფაქტია, როგ-
რც ამიერ-კავკასიის, ისე კე-
ძოთ საქართველოს მშრომე-
თა ხალხის ისტორიაში. ჩვე-
ი მტრები ყოველ გზაჯვარე-
ინზე გაჰკივიან „წითელ იმპე-
ალიზმზე". ისინი ათასგვარ
ილისწამებებს და ჭორებს ავ-
ცელებენ იმის შესახებ,
რომ საბჭოთა კავშირში შემა-
ლი ერები, თითქოს, არ არ-
ნ თანასწორი უფლებებით აღ-
ურვილი, რომ თითქოს ბატო-
ობს მხოლოდ რუსეთი და
ანარჩენები კი—საქართველო,
ომხეთი, უკრაინა, აზერბეიჯა-
ი და სხვ. დამონავებული არ-
ნ მის მიერ. მაგრამ ერთია
ონტრ-რევოლიუციის მიერ
ულით გადმონანთხევი საზი-
ღარი ტყუილი, სულ სხვაა
ნამდვილე.
საბჭოთა კავშირი აშენებუ-
ლია ნებაყოფლობის და თანა-
სწორუფლებიანობის საფუძველ-
ზე. თითეული ერი, რომელიც
შედის ამ კავშირში სარგებ-
ლობს თანასწორი უფლებებით.
საბჭოთა რესპუბლიკების მჭი-
დრო, ძმური კავშირი წარმოა-
დგენს იმ მტკიცე გარანტიას,
რომელიც უზრუნველყოფს თი-
თეულ მათგანის წინსვლას,
აღორძინებას და გაფურჩქვნას.
ერის ნამდვილი თავისუფლება
და დამოუკიდებლობა არსებ-
ობს მხოლოდ აქ, საბჭოთა კავ-
შირში, დედამიწის იმ ნაწილ-
ში, სადაც გაიმარჯვა პრო-
ლეტარულ რევოლიუციამ და
სადაც შენდება სოციალიზმი. და
ჩვენი მტრების ცილისწამებების
საუკეთესო გაბათილებას წარ-
მოადგენს სწორედ ის გარემო-
ება, რომ საბჭოთა კავშირის
ცაკის მე-3-მე სესია იხსნება
ამიერკავკასიის და საქართვე-
ლოს დედა-ქალაქში. ეს ფა-
ქტი საუცხოვოდ ადასტურებს იმას, რომ ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაცია და კერძოთ საბჭოთა საქართველო ისეთივე უფლებებით სარგებლობენ, როგორც საბჭოთა რუსეთი, უკრაინა და სხვა.

მაგრამ მესამე სესიის მნიშვნელობა მარტო ამით არ ამოიწურება. მისი დღის წესრიგში არიან საკითხები, რომლებიც შეეხებიან როგორც საბჭოთა კავშირის ეკონომიკას მთლიანად, ისე კერძოთ ამიერ კავკასიის სახალხო მეურნეობის აღორძინების საკითხს.

საბჭოთა კავშირის მესამე სესია მოისმენს ამხ. რიკოვის მოხსენებას საბჭოთა კავშირის მთავრობის წარსულის და მომავალი მუშაობის შესახებ. გაკეთებული იქნება მოხსენება აგრეთვე ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობისა. სესია განიხილავს საკავშირო ბიუჯეტს და მთელ რიგ ეკონომიურ ხასიათის საკითხებს, რომლებიც შეეხებიან ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის აღდგენას. გარდა ამისა სესია დაწვრილებით გაეცნობა ყველა სხვა ადგილობრივ საჭირბოროტო საკითხებსაც და გადადგამს პრაქტიკულ ნაბიჯებს მათ გადასაჭრელად.

სესიის ნაყოფიერობას დიდათ უწყობს ხელს ის გარემოება, რომ მის წევრებს საშუალება აქვთ ყველა გადასაჭრელი საკითხები შეისწავლონ ადგილზე, უშუალოდ და დაწვრილებით გაეცნონ მას.

ქართული წითელი ჯარი მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად მხურვალედ ესალმება საბჭოთა კავშირის ცაკის მესამე სესიას და უსურვებს მას ნაყოფიერ მუშაობას პროლეტარული რევოლიუციის და მშრომელთა ხალხის საკეთილდღეოთ.

## ჩვენი მისია კვლავ გაემგზავრა პარიზში.

პარიზში გაემგზავრა საგარეო ვაჭრობის კომისია და საბჭოთა კავშირის ელჩი საფრანგეთში—კრასინი, საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის შორის მოლაპარაკების მწარმოებელი კომისიის თავმჯდომარე—პრეობრაჟენსკი და საგარეო ვაჭრობის ბანკის მმართველობის თავმჯდომარე—ტარატუტა.

## ანგარიშს უწევს საბჭოთა კავშირს.

საფრანგეთის სენატის საგარეო საქმეთა კომისიაში ერიო შეეხო ვრანგელის ფლოტის საკითხს და განაცხადა, რომ საფრანგეთს აქვსუ ფლება შეაჩეროს ფლოტის დაბრუნება, მაგრამ ანგარიში უნდა გაეწიოს რუსეთის განწყობილებასო.

## საბჭოთა დროშა ლიონის ბაზრობაზე.

ოთხ მარტს მზად იქნება ლიონის ბაზრობაზე საბჭოთა პავილიონი.

ამ დღეს პავილიონზე ამართულ იქნება საბჭოთა დროშა.

## სათათბირო კომიტეტი.

ერიომ წარუდგინა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ხელის მოსაწერად დეკრეტი სპეციალურ სათათბირო კომიტეტზე, რომლებმაც უნდა დაიცონ რუსეთის ფასიან ქაღალდების მეპატრონეთა ინტერესები. კომიტეტის წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას საფრანგეთის დელეგაციის მუშაობაში (საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებაში) სათათბირო ხმის უფლებით.

## საფრანგეთის ჯარის რაოდენობა 1925 წელში.

1925 წელში საფრანგეთის არმიაში იქნება 607.000 ჯარის კაცი, 72.500 უნდერ-ოფიცერი, და 32.000 ოფიცერი; ფლოტში იქნება 55.000 მეზღვაური (მატროსი და 4.200 ოფიცერი.)

## საფრანგეთ-გერმანიის სავაჭრო ხელშეკრულება.

საფრანგეთი და გერმანია ამ დღეებში გაუგზავნიან ერთმანეთს სავაჭრო ხელშეკრულების ოქმებს.

საფრანგეთი კმაყოფილია შეთანხმებით.

## გერმანიის „ჩეკას" გასამართლების შესახებ.

### მოსკოვის ვექილთა პროტესტი.

მოსკოვის ვექილთა პრეზიდიუმმა მიმართა ლეიპციგისა და ბერლინის ვექილთა საბჭოს დავექილებს ზამტერსა და როზენფელდს დეპეშით. პრეზიდიუმი ესალმება დამცველებს, რომლებმაც დასტოვეს სასამართლოს დარბაზი ეგრ. წოდებულ „ჩეკას" პროცესზე და უერთდება მათ პროტესტს სასამართლოს მოქმედების წინაალმდეგ, რომელმაც განიზრახა დამცველ ზამტერის დაპატიმრება და დაარღვია ბრალდებულთა უფლებები.

## ინგლისის მუშათა კლასს არაფერი აქვს ისეთი, რის დაცვაც ღირდეს.

### ბურჟუაზიის დაცვაზე ზრუნვა კი მუშათა კლასს არ სურს.

ინგლისის თემთა პალატაში გაიმართა კამათი საჰაერო ფლოტის ხარჯთაღრიცხვის გარშემო.

მუშათა პარტიის მემარცხენე ფრთის წარმომადგენელმა მაქს-ტონმა განაცხადა, რომ **ჩვენ ერთი გროშის მიცემის მომხრეც კი არ ვიქნებით მანამ, სანამ „მუშათა კლასს არ ექნება ისეთი რის, დაცვაც ღირდეს".**

მუშათა პარტიის მემარცხენე ფრთის ბელადმა ლანსბერიმ განაცხადა, რომ საერთაშორისო მშვიდობიანობა არ შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას შეიარაღების გაძლიერებით, ვინაიდან ყოველი ომი ჰქმნის უფრო და უფრო საშინელ იარაღს ხალხის გასანადგურებლად. **„მე რომ დარწმუნებული ვიყო, რომ შეიარაღება რაიმე შედეგს მოიტანდეს, შევიარაღდებოდი არა გერმანიის, არამედ კაპიტალისტური წესწყობილების წინაალმდეგ** და შეუერთდებოდი კომუნისტურ პარტიას".

## რასაკვირველია უარყვეს.

მუშათა პარტიამ შეიტანა ინგლისის თემთა პალატაში შესწორებითი წინადადება, რათა შემცირებული იქნას საა-

## მუშათა ერთიანი ფრონტის შექმნის საქმე წინ მიიწევს.

ინგლისის პროფკავშირები
ტკიცედ განაგრძობენ ბრძო-
ას მუშათა ერთიანი ფრონ-
ის შესაქმნელად. უნდა ით-
ვას, რომ ამ საქმეში დიდ
ოლს თამაშობს ყოფილი მუ-
ათა დელეგაცია, რომელმაც
ინახულა საბჭოთა კავშირი.
უხედავათ ამსტერდამის გამ-
ეველ ბელადების წინააღმ-
ეგობისა ინგლისის პროფკავ
ირები მაინც მტკიცედ სდგა-
ნან საერთაშორისო მუშათა ერთიანი ფრონტის შექმნის პოზიციაზე და მზად არიან ამ მხრივ გადადგან პრაქტიკული ნაბიჯები ამსტერდამის გარეშეც კი. ამას მოწმობს ინგლისის პროფკავშირების ღენერალურ საბჭოს უკანასკნელი დადგენილება—გაიმართოს უშუალო მოლაპარაკება საბჭოთა პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოსთან. ამ მოლაპარაკების საგანი იქნება ამსტერდამის ალმასკომის უკანასკნელ სხდომაზე მიღებულ რეზოლიუციით შექმნილ მდგომარეობის განხილვა და სათანადო პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა ერთიანი ფრონტის დამყარების მიზნით.

ეს მართლადაც ნამდვილი საქმიანი ნაბიჯია, ასეთი გადაწყვეტილება ნათლად გვიჩვენებს ჩვენ მას, თუ რამდენათ დიდია წყურვილი მუშათა კლასში თავისი რიგების გაერთიანებისა საერთაშორისო მაშტაბში. ამსტერდამის ყვითელი ინტერნაციონალის წყალობით დღემდის ეს გაერთიანება არ მოხერხდა.

ყვითელი პროფკავშირთა ბელადები ყოველ მხრივ ხელს უწყობდენ კლასობრივი ინტერესების თვითშეგნების ჩაკვლას მუშებში, აღუნებდენ მას და მით აშორებდენ პროლეტარიატს რევოლიუციონურ ბრძოლის გზას· ამსტერდამელები დღესაც ყოველივე ღონისძიებას ხმარობენ, რათა პროფკავშირები დაიცვან რევოლიუციონურ ელემენტებისაგან.

მათ ყელყზე თმა უდგებათ რევოლიუციის ხსენებისაგან.

ბურჟუაზიის ერთგული მონები მზად არიან ყველასთან შეკრან კავშირი—სპეკულიანტებთან, კაპიტალისტებთან, ფინანსისტებთან, ავანტიურისტებთან და ვინც გინდა რომელ გაიძვერასთან, ოღონდ არა კომუნისტებთან და რევოლიუციონერებთან. ვინაიდან პირველი კავშირი მათთვის ნიშნავს ბატონობის შენარჩუნებას, მსხვილი ქრთამების აღებას და თბილ ადგილების შენარჩუნებას, ხოლო მეორე გვარი კავშირი კი, ნამდვილი დაღუპვის მომგვრელია. ამიტომაც იყო, რომ უკანასკნელ სხდომაზე მათ წინაალმდეგ წავიდენ საბჭოთა პროფკავშირებთან გაერთიანების. საამისო რეზოლიუციაც კი გამოიტანეს. მაგრამ ვერავითარი რეზოლიუციით მუშათა მთლიანი ფრონტის მტრები ვერ შეაჩერებენ მუშათა რიგების გაერთიანების საქმეს. და ეს უკანასკნელი კი შეიქმნა მუშათა მოძრაობის მთავარ და დამკვრელ ამოცანად.

ცხადია მისი თაოსნობა უნდა თავზე აიღოს არა კონტრრევოლიუციონურ ამსტერდამმა, არამედ იმ მემარცხენე ფრთამ ევროპის მუშათა მოძრაობაში, რომელსაც წარმოადგენს ინგლისის პროფმოძრაობა. თავისი უკანასკნელი დადგენილებით საბჭოთა პროფკავშირებთან მოლაპარაკების შესახებ, მან უკვე აიღო ეს ინიციატივა და ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ ის ბოლომდე მიიყვანს საერთაშორისო პროლეტარიატის რიგების გაერთიანების საქმეს.

—უ.

ვიაციო ძალთა პირადი შემადგენლობა 35.000 კაცით. პალატამ უარყო ეს წინადადება.

## ომის მაგივრად საერთაშორისო სამედიატორო სასამართლო.

### ინგლისის მუშათა რეზოლიუცია ჟენევის ოქმის შესახებ.

ინგლისის პროფკავშირთა მთავარმა საბჭომ და მუშათა პარტიის აღმასკომმა გაერთიანებულ სხდომაზე გამოიტანეს შემდეგი რეზოლიუცია ჟენევის ოქმის შესახებ:

„ინგლისმა უნდა მიიღოს ყოველგვარი ღონისძიება რათა მიღებულ იქნას ჟენევის ოქმი განიარაღების კონფერენციის მოწვევის დროს. მუშათა მოძრაობა მომხრეა ჟენევის ოქმის იმიტომ, რომ ის იძლევა ერთად-ერთ გეგმას განიარაღების საქმეში და ურჩევს ომის მაგივრად საერთაშორისო სამედიატორო სასამართლოს.

მუშათა პარტიამ ენერგიული წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს ყოველგვარ ცდას ამ ოქმის შეცვლისათვის.

პარტიამ ყოველგვარ ღონისძიებას უნდა მიმართოს, რათა ოქმი დაამტკიცონ ყველა სახელმწიფოებმა.

## საუბარი მოსკოვში მყოფ ოსმალეთის რწმუნებულთან.

### ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲨᲘ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘ ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲨᲘᲨᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ.

**ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲐᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲔᲜ ᲙᲝᲜᲢᲠ-ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲝᲜᲣᲠᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘ.**

ოსმალეთში მომხდარ აჯანყების შესახებ ოსმალეთის რწმუნებულმა მოსკოვში—ენის—ბეიმ როსტას თანამშრომელთან საუბარში შემდეგი განაცხადა:

„აჯანყების ხასიათის შესახებ დაწვრილებითი ცნობები არ არის, მაგრამ შეიძლება ვსთქვათ, რომ ამ საქმეს ხელმძღვანელობს კონტრ-რევოლიუციონური ძალები, რომლის იარაღი გახდა აჯანყების მეთაური შეიხი სეიდი.

მაგრამ ეს მთავრობისთვის საშიშო არ არის. შეიხი სეიდი გამოდის რელიგიური ნიღაბით. ის ვერ მოიკიდებს ფეხს ფართე მასებში.

ოსმალეთის სახელმწიფო წესწყობილება სრული დამამტკიცებელია იმის, რომ მთავრობა მართლაც გამომხატველია სახალხო ინტერესების, ამიტომაც მთავრობის ზომებს აჯანყების წინააღმდეგ ყველა დაუჭერს მხარს."

## საქონლის შემოტანა და გატანა.

იანვრის განმავლობაში გატანილ იქნა საზღვარ გარედ 17.446.000 ფუთი სხვა და სხვა საქონელი; შემოტანილია იმავე პერიოდში—3.599.000 ფუთი. გასატან საქონლის პირველ რიგში მიდის ნავთის ნაწარმოები, შემდეგ პური, ზეთი, კვერცხი, კანაფი და ბოლოს ხე-ტყე, ბეწვეული და მარგანეცი. შემოტანილ საქონელში პირველი ადგილი უჭირავს მეტალის ნივთებს, ქიმიური ნაწარმოებს, ტილოულობას ნაქსოვი მასალები. იანვარში გატანილ იქნა 5 ნახ. მილიონით მეტი საქონელი, ვინემ—შემოტანილი.

## რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება.

რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დუკამ საგარეო საქმეთა კომისიაში განაცხადა: რუმინეთი სცდილობს რუსეთთან დახლოვებას, მაგრამ სრულიად დაცულ უნდა იქნას რუმინეთის უფლებები. არ არის საბუთი ვიფიქროთ, რომ ის სახელმწიფოები, რომლებმაც ხელი მოაწერეს ბესარაბიის ოქმს, უცებ უარს იტყვიან თავიანთ ხელმოწერილზე.

## შიმშილით გაფიცვა 5 კვირით.

რუმინეთის კომპარტიის ბელადის—დობროჯიანუს მდგომარეობა მეტად სერიოზულია. ხუთი კვირაა რაც რომ ის განაგრძობს შიმშილით გაფიცვას რუმინეთის ციხეში. ის სავსებით ღონე მიხდილია, მაგრამ მაინც უარს ამბობს საჭმელის მიღებაზე.

ამ დღეებში უზენაესმა სასამართლომ უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება დობროჯიანუს განთავისუფლების შესახებ.

## ესპანეთში სდევნიან რევოლიუციონერებს.

ესპანეთში გრძელდება რევოლიუციონერთა სასტიკი დევნა.

ბარსელონაში დააპატიმრეს კომუნისტი ტოლოვა, ვინაიდან მას აღმოაჩნდა კომუნისტური გაზეთები. ტოლვას სასტიკად სცემეს და ჩასვეს ბარსელონის ციხეში.

## წ. კ. უცოდინარეობის სალიკვიდაციო სკოლების გასინჯვა.

მთავარ პოლიტსამმართველო შეუდგა ბათუმში და ბათუმის მაზრებში წერა-კითხვის უცოდინარეობის სალიკვიდაციო სკოლების გასინჯვას.

## მუშა-ქალთა საერთაშორისო დღისათვის.

მუშა-ქალთა საერთაშორისო დღეს გადარიცხულ იქნება პარტიაში კომკავშირელ-აქტივისტი ქალები.

## საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების საკავშირო ცაკის სესიისათვის ტფილისში.

**წინასწარი მზადებანი.**

როგორც ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, ამ დღეებში ტფილისში გაიხსნება საკავშირო ცაკის მესამე სესია. ტფილისის პროლეტარიატი დიდ მზადებაშია ამ ისტორიული მოვლენისათვის. სადგურზე აუარებელი ხალხი იყრის თავს სესიის წევრების შესახვედრათ. თვით სადგური მორთულია სადღესასწაულო ელფერით. ყოველ მატარებელს მოყავს სესიის წევრთა ახალ—ახალ ჯგუფები. მათ უხვდებიან სადგურზე და ესალმებიან ტფილისელი მუშები. თვით ქალაქში წითელი დროშებით და გირლიანდებით მორთულია ყველა მთავრობის დაწესებულებანი.

**საოპერო თეატრთან.**

რადგანაც საოპერო თეატრი ვერ დაიტევს სესიაზე გარეშე დამსწრეთა ყველა მსურველებს, ამიტომ გადაწყვეტილია საოპერო თეატრის აივანზე დაიდგას ხმა მაღლა მოლაპარაკე აპარატები (მიკროფონი), რომლის საშუალებითაც ქუჩაში თავმოყრილი საზოგადოება მოისმენს სესიაზე წარმოთქმულ ყველა სიტყვებს. სესიის სხდომები გაიმართება ამავე თეატრში.

**სესიის წევრთა პატივსაცემლათ.**

ტფილისის ხელოვნების მუშაკთა კავშირმა განიზრახა სესიის წევრთა პატივსაცემლად ტფილისში მოაწყოს დიდი ინტერნაციონალური საღამო, რომელზედაც მონაწილეობას მიიღებენ ქართულ—რუსულ—სომხური ხელოვნების საუკეთესო ძალები.

საოპერო წარმოდგენები, სესიის დასრულებამდე გაიმართება რუსთაველის თეატრში.

გარდა ამისა უკვე მოწყობილია ცალკე სატელეფონო კავშირი იმ სახლებთან, რომლებშიაც იცხოვრებენ სესიის წევრები.

**საიდან არიან ჩამოსულნი.**

ჯერ-ჯერობით უკვე ჩამოვიდნენ უკრაინის წარმომადგენლები, ციმბირიდან და რუსეთის შორეული გუბერნიებიდან. ხვალ დილით მოელიან მოსკოვიდან გამოსულ საგანგებო მატარებელს, რომელშიაც იქნება სხვათა შორის საბჭოთა კავშირის დიპლომატიური კორპუსიც.

გუშინ წინ უკვე ჩამოსულნი იყვნენ ჩრდილოეთ კავკასიის ერების წარმომადგენლები. სესიის წევრები ყველანი აღტაცებულნი არიან ტფილისში ასეთი გულთბილი შეხვედრით.

**გაზეთების წარმომადგენელნი.**

ტფილისში უკვე ჩამოვიდნენ რუსეთში არსებულ ყველა მსხვილ გაზეთების წარმომადგენლები. მოელიან აგრეთვე „უცხოეთის გაზეთების კორესპონდენტებსაც.

**სესიის გახსნა.**

სესიის გახსნა განზრახულია 3 მარტს, თუ რამე ტეხნიკური დამაბრკოლებელმა გარემოებამ არ შეუშალა ხელი.

დ.

## ᲡᲐᲙᲠᲔᲓᲘᲢᲝ ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐ.

საკრედიტო კოოპერაცია-ყველაზე უფრო მარტივი და გასაგები სახეა კოოპერაციის. სოფლად კაპიტალის პირველი წარმომადგენელი მევახშეა. თუ რა გავლენა ქონდა მას სოფელზე იქედანაც სჩანს, რომ გერმანიაში მევახშე 120 პროც. 140 პროც. იღებდა.— პროცენტის ასეთი საშინელი სიდიდე ჩვენ გვიჩვენებს ერთის მხრით თუ რა სასტიკი იყო გერმანიაში მევახშის გავლენა და მეორეს მხრით იმასაც თუ რამდენად ესაჭიროება კრედიტი გერმანელ გლეხს.

დიდ ბანკების კრედიტი ჩვეულებრივად არ წვდება სოფელს, და რადგანაც უკანასკნელს არა აქვს ორგანიზაციული კრედიტი, მიწის მუშა სავსებით მევახშის ხელში ვარდება კოოპერატიული კრედიტის ორგანიზაცია საშვალებას აძლევს ყოველ მსურველს—მიწის მუშას, მიიღოს მონაწილეობა იაფ ფასიან კრედიტში, რაც ბუნებრივად სპობს სოფლად მევახშეს. „ჩვენ უკვე მდიდრებს თავს აღარ უკრავთ" ამბობდენ მოსკოვის გუბერნიის გლეხები, როდესაც მათ ერობამ საკრედიტო კოოპერაცია დაუარსა. მევახშეობასთაბრძოლა ეს პირველი მოვალეობაა კრედიტისა სოფლად.

მაგრამ შემდეგ მისი მნიშვნელობა თან და თან იზრდება. კრედიტის გაძლიერება იწვევს სასოფლო მეურნეობის ნახევრად ნატურალურ მეურნეობიდან ფულიან მეურნეობაზე გადასვლას.

ბაზრის მოთხოვნილება სოფლის მეურნეობისადმი იზრდება, და მეურნეც იწყებს მეურნ. ინტენსიფიკაციას*). ინტენსიფიკაცია კი მოითხოვს ფულს და ამ შემთხვევაში მეურნეს ეხმარება საკრედიტო კოოპერაცია მეურნეობის ინტენსიფიკაციის დროს მიწის დამუშავება ხდება ახალი წესებით ახდენენ მიწის განოყიერებას თვალყურს ადევნებდენ ბაზრის მოთხოვნილებას და იმის მიხედვით სთესენ ჭირნახულს. თუ რა მნიშვნელობა აქვს მეურნეობის ინტესიფიკაციას ჩვენ დავინახავთ თუ შევადარებთ მეფის ხანის რუსეთის მეურნეობას და დასავლეთ ევროპის მეურნეობას.

| | | მოსავლიანობა პურეულობის (1 დესიატ.) ფუთებში. |
|---|---|---|
| ევროპის რუსეთი . . | | 46. |
| ინგლისი . . . . . | | 126. |
| გერმანია . . . . . | | 108. |
| საფრანგეთი . . . . | | 85. |
| ავსტრო-უნგრეთი . . . | | 80. |

როგორც ცხრილიდან უყურებთ განსხვავება დიდია და მეფის რუსეთის ჩამორჩენილობა უნდა ვეძიოთ, როგორც პოლიტიკურ, აგრეთვე წმინდა ეკონომიურ მიზეზებში.

თუ ხალხს არ ექნა იაფიანი კრედიტი, სოფლის მეურნეობის გაუმჯობესება შეუძლებელია ამბობს ერთი მეცნიერი.

საკრედიტო კოოპერატივები არიან ორნაირი ტიპის—საკრედიტო ამხანაგობანი, და შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობანი.

რაიაფაზენის ტიპის საკრედიტო ამხანაგობის ძირითადი პრინციპები შემდეგია:

საკრედიტო ამხანაგობაში შემსვლელ წევრს აქვს უფლება კრედიტის მიღებისათვის.

კრედიტის სიდიდე განისაზღვრება არა წევრების ქონებით, არამედ პირადი თვისებებით: პატიოსნებით, შრომის უნარიანობით და შრომის ხასიათით.

სესხისათვის პასუხისმგებელია მთელი საკრედიტო ამხანაგობა.

აქ ნახულობს გამართლებას კოოპერატიული პრინციპი— ყველა ერთისათვის და ერთი ყველასათვის".

საკრედიტო კოოპერაციის რთულ ამოცანების შესრულებისათვის არ არის საკმარისი პირვადი ფორმა საკრედიტო კოოპერაციისა. ამ ნაირად კოოპერატიული ორგანიზაცია თავის ძირითად პრინციპებში ნსხვავდება შემდეგ ნაირად.

1. საკრედიტო კოოპერატივების პირვადი ფორმა.

2, საოლქო კოოპერატივების კავშირი (საკავშირო კასა.)

3. ცენტრალური კოოპერატიული ბანკი.

ეხლა ჩვენთვის საინტერესოა იმის გაგება თუ რა გზით რა საშუალებით მოაგროვებ საჭირო თანხას საკრედიტო კოოპერატივები: ამ თანხ საკ. კოოპ. აგროვებს ანაბარების და სესხის საშუალებით.

კოოპერატიული ორგანიზაცია კრედიტისა სწორად ასრულებს თავის მოვალეობას მაშინ, თუ კრედიტს საწარმოო დანიშნულება აქვს.

თუ სესხად გაღებული ფული საწარმოო საშუალებად იქცევა, თუ სესხად აღებულ თანხა მიზან შეწონილად იხარჯება სამეურნეო პროცესში მაშინ აღებული კაპიტალ ქმნის ზედმეტ პროდუქტს რომელიც საბოლოოდ ამართლებს სესხს.

ამნაირად საკრედიტო კოოპერაცია ხსნის ახალ პერსპექტივებს სოფლის მეურნეობაში, ადიდებს სასოფლო მეურნეობის შემოსავლიანობას, სცვლის თვით წესებს მეურნეობისას და მით საბოლოოდ ასაღებს სახალხო მეურნეობას.

ი. თ—ძე.

*) ინტენსიფიკაცია სოფლის მეურნეობაში ნიშნავს შრომისა და კაპიტალის მეტად დახარჯვას, ვიდრე იხარჯებოდა.



## აჭიროა ქართული ოპერა წითელ-არმიელთათვის.

როგორც ვიცით კულტურულ შეფობის წესით ართება წითელ-არმიელთათვის სახელმწიფო თეარებში საოპერო და დრამის წარმოდგენები. მხოოდ აღსანიშნავია ის, რომ ამ სეზონის განმავობაში საოპერო თეატრში არც ერთი ქართული პერა წითელ-არმიელთათვის არ დადგმულა და უსულ ენაზე კი ოპერები გაუგებარია ქართველ თელ-არმიელებისათვის. საჭიროა ამაზე მიქცეულ მნეს ყურადღება ვისგანაც ჯერ არს, მიეცეს საალება ქართველ წითელ-არმიელს მოისმინოს რთული ოპერა, მაგ: „ქეთო და კოტე“, ან „დაი“ და სხვ.

ი. რუდოვსკი.

## კულტურულ ფრონტზე.

**მეოთხე ლეგიონის საქმიანობიდან.**

ნაწილის კულტურულ მუობაში თითქმის მთავარ როლს მაშობს საკლუბო საქმიანო, აქედან კლუბის გამგეობასა უფროსის ენერგიულობაზე ვი რამ არის დამოკიდებუ.

ლეგიონში ახალი კლუბის ფროსის დანიშვნამ საგრძნოდ გამოაკეთა საქმე. მისი ვლისთანავე შესდგა კლუს ახალი გამგეობა. საუკეთეძალებისაგან დაარსებული ნა სხვა და სხვა წრეები და ადღა მუშაობა.

კლუბში მოეწყო ხმამაღალი თხვა, წერა-კითხვის უცოდიწითელ-არმიელებისათვის. ველ თავისუფალ საათებში რთება საუბრები და მოხსეები ამავე წითელ-არმიელესათვის. თუ წინად თითქმის ლით მოგვყავდა არმიელები ცადინეობაზე, ეხლა პირთ, ყოველ მეცადინეობას რება ამხანაგები ესწრებიან. მიელებს იმდენად შეუყვართ მეცადინეობა, რომ ყოლ თავისუფალ საათებში თონ მოდიან და გვეუბნეან—„ეხლა მოცლილი ვართ, ეცადინოთო.“

ამ ახლო მომავალში ლეგიში მოეწყობა ორი ლენინ ოთახი.

7 თებერვალს გამოვიდა კეის გაზეთი „რევოლიუციის მაგი“ ახალი ფორმატით. წეები შინაარსიანი, ყველა ვის ადგილზეა მოთავსებული. ცნობები საერთაშორისო მდგომარეობიდან, მედიცინიდან, მეცნიერებიდან და სხვა ყურადღებას იქცევს. ლეგიონის შინაური ცხოვრება მშვენივრად არის გაზეთში გაშუქებული. აქ დღის სინათლეზეა გამოტანილი ნაწილის ყველა დადებითი და უარყოფითი მხარეები. გაზეთი მშვენივრად აღწევს თავის მიზანს.

ლეგიონში კვირაში ერთხელ ეწყობა კომუჯრედის ღია კრებები; უპარტიო წითელ არმიელები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ამ კრებებზე დასმულ საკითხების გარჩევაში.

პარტიაში შესვლის მსურველები ლეგიონში ბევრია. კომუჯრედს თითქმის ყოველი სხდომის დროს უხდება განცხადებების განხილვა.

6 თებერვალს კრებამ განიხილა ათასეულის თავის ამხ. ბოსიკაშვილის განცხადება პარტიაში შესვლის შესახებ თითქმის ორი საათი გაგრძელდა ამხ. ბოსიკაშვილის გამოცდა. ითქვა მრავალი უარყოფითი და დადებითი ამხ. შესახებ.

კრებამ ასეთი მდგომარეობის გამო განცხადების განხილვა გადასდო დახურულ პარტიულ კრებისათვის. ასე სიფრთხილით ვეპყრობით ყველა ამხანაგების განცხადებებს.

სამხკორი ჯლანკი.

## ხშირად ასეთი შეჯიბრი.

ქართული გაერთიანებულ მეურთა სამხედრო სკოლის წყობრო გუნდში 22 თებერის გაიმართა წითელ არმიების შეჯიბრი. შეჯიბრს ხელმძღვანელობდენ გუნდის როსი, პოლიტხელი და სკოს მესამე ასეულის მწყობრის ი.

შეჯიბრი გაიმართა შაშხანა ვის დაშლასა და აწყობაში, ეგ რბენაში და სხვა.

შეჯიბრებაში დიდი უნარიანობა და სიფხიზლე გამოიჩინეს სამნეო გუნდის არმიელებმა.

გამარჯვებული ამხანაგები დაჯილდოებული იქნენ სხვა და სხვა საგნებით.

შეჯიბრმა ძლიერ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა არმიელებზე.

კარგი იქნება ხშირად მოეწყობოდეს ასეთი ხასიათის გასართობები, რაც მეტად ზრდის ამხანაგების ინტერესს ყოველგვარი საქმისადმი.

არმიელი თოზაძე.

## მოსპეთ ნაკლულევანებანი.

**სისუფთავე არ არის დაცული.**

პირველ ცალკე საკავშირო ასეულის სამზარეულოში სადილის დამზადების დროს არ არის დაცული საჭირო სისუფთავე.

სამზრეულო როგორც შიგნით, ისე გარედაც უსუფთაოდ არის. სადილის მიღებისათვის წითელ-არმიელებს გვიხდება რიგში დგომა. რა სასურველი უნდა იყოს იმ სამზარეულოდან მიღებული სადილი, რომლის წინ ყოველთვის ოთხი ვერშოკის სიმაღლე ტალახი სდგას. ასეთ ტალახში გვიხდება გაჩერება სადილის მისაღებათ.

სამზარეულოს წინ სდგას აგრეთვე ერთი კასრი, რომელიც სავსეა ნაგავით, საშინელ სიდამპლის სუნს უშვებს და მის გაცლაზე კი არავინ ფიქრობს.

ძნელი საქმე არ არის ამ დეფექტების გამოსწორება, თუ დაუშვებელ უყურადღებობას არ ექნება ადგილი.

წ. არმ. ცხენის წყლის პირელი.

## თევზს ცუდათ ამზადებენ.

პირველ ლეგიონის სამხარეულოში ძლიერ ცუდათ ამზადებენ თევზს. ჯერ ერთი გაურეცხავად ხარშავენ, ხოლო შემდეგ არ აძლევენ ისეთ მასალებს, რომლებიც ოდნავ გააუმჯობესებდენ სადილს.

ჩაყრიან ქვაბში თევზს და მანამდე იხარშება, სანამ სრულიად არ გაიქნება. არც თევზი რჩება და წვენიც უვარგისია. ამხანაგების უმრავლესობა ამის გამო მარტო პურით კმაყოფილდება.

ლეგიონის საკანტროლო კომისიამ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას.

ასე უსუფთაოდ სადილის დამზადება დაუშვებელია.

სამხკორი ივ. ბარელაძე.

## ჩვენი ტერ-ნაწილების ცხოვრებიდან.

**მე-6 ლეგიონში.**

თებერვლის 22-ს ლეგიონის კლუბის დარბაზში მოწვეული იქნა თბილისში მყოფ აღრიცხვაზე აყვანილი ცვალებად შემადგენლობის პარტ—ამხანაგების საერთო კრება.

წამოყენებული იქნა შემდეგი საკითხები:

მილიციონური სისტემა ან მისი მნიშვნელობა; კავშირის დაჭერა აღრიცხვაზე აყვანილ ცვალებად შემადგენლობასთან; მიმდინარე საკითხები.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ლეგიონის სამხკომმა ბერიძემ.

მომხსენებელი დაწვრილებით და გასაგები ენით შეეხო, თუ როგორ მოხდა საზოგადოების სახელმწიფო ფორმებში ჩამოყალიბება; ხელისუფლებისათვის დასაყრდნობი შეიარაღებული ძალის წარმოშობას, როგორ იყენებს და ზრდის ამა თუ იმ კაპიტილისტურს სახელმწიფოებში ბურჟუაზიული ხელის უფლება, თავის სუვერენული უფლებების დასაცავად არმიის და სხვა.

დასასრულს შეეხო საბჭოთა რესპუბლიკებში წითელი არმიის წარმოშობას, მის კლასიურ ინტერესებს—შემდეგ ტერ—სისტემის შემოღებას და მის პრაქტიკულ მხარეებს.

მოხსენებამ ძალზე დამაკმაყოფილებელი შთაბეჭდილება დასტოვა დამსწრეთა შორის; რის გამო გამოტანილი იქნე სათანადო რეზოლიუცია. სადაც ნათქვამია რომ აღრიცხვაზე აყვანილი ამხანაგები ფიცს სდებენ, რომ ნაწილებში გასვლისთანავე გაათკეცებული ენერგიით შეითვისებენ სამხედრო ხელოვნებას და გაიმსჭვალებიან მტკიცე მხედრული სულით, რომ ხელი შეუწყონ ტერ—სისტემის საბოლოო განმტკიცებას ჩვენს რესპუბლიკებში.

მეორე საკითხის შესახებ განმარტებით გამოვიდა იგივე მომხსენებელი, რომელიც აღნიშნავს გამოწვევამდე კავშირის დაჭერის და დაახლოვების აუცილებლობის აღრიცხვაზე აყვანილ ცვალებად შემადგენლობასთან, რასაც დიდის აღფრთოვანებით შეხვდენ აღრიცხვაზე აყვანილი პარტ—ამხანაგები და მათივე წრიდან წამოყენებული იქნა რაიკომების მიხედვით ოთხი პარტ—ამხანაგი ლეგიონის ბიურო-კოლექტივთან მიმაგრებით. ამასთანავე ერთად კრებამ დაადგინა სისტემატიურად იქნას მოწყობილი თვის პირველ ნახევრებში კვირაობით საერთო პარტიული კრება, ურთიერთის ყოფა ცხოვრების გასაცნობათ და საყურადღებო საკითხების გასაშუქებლათ.

იმედს გამოვსთქვამთ ეს პირველი ნაბიჯი საშვალებას მოგვცემს, რომ თანდათანობით უფრო განვამტკიცოთ მჭიდრო კავშირი და გამოვიყენოთ გამოწვევამდის, ცვალებად შემადგენლობიდან პარტიული ამხანაგები იგივე ცვალებად შემადგენლობაში მყოფ უპარტიო ამხანაგებთან დასაახლოვებლათ, მათთან კავშირის გასაბმელად და ხელმძღვანელობისთვის. მიმდინარე საკითხებში შეკითხვები არ შემოსულა, რის შემდეგაც კრება დაიხურა.

სამხკორი ვ. ლორთქიფანიძე.

## სამხედრო საქმე

### საჭიროა ვიცოდეთ თუ როგორი უნდა იყოს ლეგიონის არტილერია.

უპირველეს ყოვლისა ლეგიონის არტილერიას უნდა შეეძლოს ქვეითი ჯარის მოწინავე ნაწილებთან ერთად პოზიციების დაჭერა, როგორც შეტევისა ისე მომგერიებლობისა.

მან უნდა შემუსროს ყველა ის რაც ხელს შეუშლის ქვეითი ჯარის იერიშის დროს. მოულოდნელი მოქმედებით და სხვადასხვა მიზეზების გამო სადივიზიონო არტილერიას არ ძალუძს მასთან ბრძოლა.

უახლოეს მანძილზე ცეცხლით მან უნდა შემუსროს ცოცხალი ძალა იერიშის დროს და აგრეთვე იმოქმედოს მაშინ, როდესაც მტერი გამოიჩენს აქტიობას, თუ კი რომ სადივიზიონო არტილერიას საშუალება არა აქვს მისი შემუსრვისა.

ყოველგვარ შეტევას წინ— უძღვის არტილერიის მუშაობა.

ეს უკანასკნელი გამოიხატება იმაში, რომ მან უნდა შემუსროს და სრულებით მოსპოს ყველა ის, რაც ხელს შეუშლის ქვეითი ჯარს წინ წაწევაში.

თუ არტილერიამ ეს შესძლო, რასაკვირველია, ქვეითი ჯარი უმსხვერპლოთ წინ მიიწევს და გზადაგზა იკავებს მოპირდაპირის პოზიციებს, მაგრამ რაც უნდა კარგათ არ იმუშაოს არტილერიამ შეტევის წინ შეუძლებელია, რომ არ აღმოჩნდეს მოპირდაპირის პოზიციებზე თითო ოროლა ტყვიამფრქვეველები, რომლის მიზანი იქნება სწორეთ იერიშის დროს მუსრი ავლოს შემტევს. ან კიდევ შესაძლებელია თითო ოროლა მსროლელიც დარჩეს სანგრებში წინაამდეგობის გასაწევათ.

აი, სწორეთ, ესენი იქნება ლეგიონის არტილერიის მიზანი.

ლეგიონის არტილერიამ უნდა გაანადგუროს თითო ოროლა ტყვიამფრქვეველი მტრის პოზიციებზე დარჩენილი უკანასკნელად მოქმედებისათვის. მანვე უნდა შემუსროს დარჩენილი ცოცხალი მსროლებიც.

შემტევი ყოველთვის მზათ უნა იყოს კონტრ-იერიშისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში მოპირდაპირეს გაბედული კონტრ-იერიშით შეუძლია დამარცხება გამარჯვებით შესცვალოს. ამ მდგომარეობაში ლეგიონის არტილერია საგრძნობ დახმარებას გაუწევს შემტევ ქვეითი ჯარს და თავისი ძლიერი ცეცხლით მუსრს ავლებს გაკადნიერებულ მტერს.

მოსალოდნელია, რომ სწორეთ ჩვენი ჯარების იერიშის დროს მოპირდაპირემ თავისი ჯავშნიანი ნაწილებიც გამოიყვანოს, უკანასკნელი ცუდ მორალურ გავლენას ახდენს ქვეითი ჯარზე, იმის გარდა რომ მათთან ბრძოლა შაშხანა თოფებით თითქმის შეუძლებელია.

აი, სწორეთ, ასეთი ჯავშნიანი ნაწილებისათვის საწინააღმდეგოთ, შესაძლებელია და უნდა კიდევაც გამოვიყენოთ ლეგიონის არტილერია.

მოგერიების დროს ლეგიონის არტილერიას უმეტეს შემთხვევაში საქმე ექნება ცოცხალ ძალასთან.

მან უნდა აწარმოვოს მასთან ბრძოლა.

მაგრამ ამავე დროს მოსალოდნელია ცოცხალ ძალასთან ერთად სხვა ტეხნიკურ საშუალებანიც ექმნეს მოპირდაპირეს, რომლების განადგურება პირდაპირი დანიშნულება იქნება ლეგიონის ქვემეხისათვის.

როდესაც უკვე ვიცით რა დანიშნულება აქვს ლეგიონის არტილერიას, ჩვენ ადვილათ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ის მოთხოვნილებანი, რომლებიც წარედგინება ლეგიონის არტილერიას.

რომ მან შესძლოს უმთავრესი თავის ამოცანის შესრულება, ესე იგი, ქვეითი ჯარის მოწინავე ნაწილებთან ერთად პოზიციების დაჭერა ის უნდა იყოს **ადვილათ მოძრავი.**

თუ მივიღებთ მხედველობაში რომ თვით იერიში, რომლის დროს უმთავრესათ მოქმედებს ლეგიონის არტილერია, გრძელდება სულ მოკლე დროს, და ამ მოკლე ხანში საჭიროა მოპირდაპირის ცეცხლით გამასპინძლება, ლეგიონის არტილერია უნდა იყოს **მსწრაფლ მსროლელი.**

ამავე მოსაზრებით ლეგიონის არტილერია ბრძოლისათვის მზათ ყოფნის უნარით უნდა იყოს აღჭურვილი.

ამასთან ერთად მის ყუმბარებს ნგრევის უნარიც უნდა ახასიათებდეს.

ამგვარათ ლეგიონის არტილერია უნდა იყოს.

1. ადვილათ მოძრავი.
2. სწრაფ მსროლელი.
3. ბრძოლისათვის მუდამ მზათ მყოფი.
4. დიდი ძალის ყუმბარის მქონე.

ვ.

# პარტიული ცხოვრება

## კომუჯრედის ღია კრება მე-4-ე ლეგიონში.

ჩვენს ლეგიონში კომუჯრედის მუშაობა ნაყოფიერად მიმდინარეობს. ყოველ კვირაში ერთხელ იმართება კრებები.

უპარტიო წ. არმიელები ამ ჟამად ბევრი მოდიან კომკავშირის რიგებში და ყოველ დღიურად იზრდება ჩვენი ლეგიონის კომუჯრედი.

13 თებერვალს შესდგა აღნიშნული კომუჯრედის ღია კრება, დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

საბჭოთა კავშირის საგარეო და შინაური მდგომარეობა, განცხადებების განხილვა და მიმდინარე საკითხები.

1-ლ საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა სამხედრო კომისარმა ამხ. უგულავამ, რომელმაც ვრცლათ გააცნო კრებას, საბჭოთა კავშირის როგორც შინაური, ისე გარეშე მდგომარეობა. ამას გარდა ამხ. მომხსენებელი მოკლეთ და მკაფიოთ შეეხო გარეშე სახელმწიფოების საერთაშორისო მდგომარეობას. მოხსენებამ გამოიწვია შეკითხვები.

შემდეგ კრებამ განიხილა პარტიაში შესვლის მსურველთა განცხადებები. გაირჩა წითელ-არმ. ამხ. ხარზეიშვილის და გოშაძის განცხადებები კომკავშირში მიღების შესახებ. ამხანაგებს უარყოფითი მხარეები არ აღმოაჩნდათ და მიღებულ იქნენ კომკავშირში საერთო წესით. ასევე მიღებული იქნა სათანადო გამოცდების შემდეგ ამხ. ჯიხვაძე კომკავშირიდან—კომპარტიის კანდიდატათ.

სამხკორი

ალ. როსტომაშვილი

## პასუხად ამხ. შ. ჭილაძეს·

გაზ. „წითელ არმიელი“-ს 21 თებერვლის ნომერში მოთავსებული იყო ამხან. შ. ჭილაძის წერილი დივლაზარეთის კოოპერატივის შესახებ. ამხ. ჭილაძე უსაყვედურებს კოოპერატივის გამგეს, რომ დუქანში საჭირო და აუცილებელი ხასიათის საქონელი არ მოიპოვებაო.

ამხ. ჭილაძის საყურადღებოთ უნდა განვაცხადო, რომ ამ უკანასკნელ ხანებამდე კოოპერატივში ყველაფერი ბლომად მოიპოებოდა და ავადმყოფების მოთხოვნილებას ყოველთვის აკმაყოფილებდა დუქანი. ამ ჟამად მართალია დუქანში არაფერი არ მოიპოება, მაგრამ ეს არც გამგის და არც ვინმე სხვისი დანაშაული არ არის. საქმე იმაშია, რომ მომავალი თვის პირველიდან ჩვენი საავადმყოფო სრულიად იხურება. ცხადია ასეთი მდგომარეობის დროს კოოპერატივი ახალ საქონელს არ მოიტანდა. აი მიზეზი იმისა, რომ კოოპერატივში საჭირო საგნებს ვერ შოულობენ ავადმყოფები.

რაც შეეხება წინა თვეებში კოოპერატივის მდგომარეობას და მისი გამგის მოქმედებას ეს კარგად იცის რევიზიამ, რომელიც ყოველთვიურად მოდიოდა დუქანში და თითქმის ყოველთვის კმაყოფილი იყო გამგის მოქმედებით.

კოოპერატორი.

## შინაურ ცხოველებისა და კაცის გადამდები ავადმყოფობანი·

### ჯილეხი.

**ჯილეხი** ანუ ხუზარა, რომელსაც რუსები თავის ენაზე „სიბირსკაია იაზვა“-ს უწოდებენ, ყველა შინაურ ცხოველებისა და ადამიანის ერთ იმ გადამდებ ავათმყოფობათაგანია, რომელსაც დიდი ზარალი მოუტანია და მოაქვს კაცობრიობისათვის ყველა ქვეყნებში და ყველა დროს.

**ჯილეხის** შესახებ მოგვითხრობენ მიზერკი, ვიკრუსი, ათანასე კირხნერი და სხვები.

რომ იტალიაში 1617 წელს შინაურ ცხოველების აუარებელ რიცხვთან ერთად **ჯილეხისაგან** დაიღუპა 60,000 ადამიანი. 1882 წლიდან 1906 წლამდის რუსეთში **ჯილეხით** ავათ გახდა 511.490 ცხენი, 374.568 რქოსანი საქონელი და 19,982 ღორი სულ 905.040 სული საქონელი და ამათში დაიღუპა 361.800, ცხენი 30.395 რქოსანი საქონელი და 16.529 ღორი-სულ 408.720 სული შინაური საქონელი.

დიდ მიღწევებს **ჯილეხის** შესწავლის საქმეში იძლევა მეთუთხმეტე საუკუნე. ამ საუკუნეში მეცნიერმა **პოლლენდერმა** პირველმა აღმოაჩინა რქოსან საქონლის სისხლში **ჯილეხის** გამომწვევი ჩხირის მსგავსი უბრალო თვალით დაუნახავი წვრილი არსებები, რომლებსაც მეცნიერმა **კოხმა ჯილეხის ბაცილები** უწოდა. კოხმა დაამტკიცა, რომ ამა თუ იმ პირობების მიხედვით ამ ბაცილებისაგან ჩნდებიან **ჯილეხის** სპორები ანუ სათესლე მარცვლები და შემდეგ იქედან ისევ ბაცილები.

**ჯილეხის** ბაცილები მრავლდებიან გაყოფისა და ჯაჭვისებური გაგრძელებით, როგორც **ცხოველის ტანში**, ისე მისი **ტანის გარეშე**. სხეულის გარეშე ჯილეხის ჩხირებს ანუ ბაცილებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიათ გამრავლება, თუ მათ შესაფერი პირობები ექნებათ: ჰაერი, სითბოს არა ნაკლებ 12-გრადუს და არა უმეტეს 43 გრადუსისა, შესაფერი საზრდო და სხვა.

როდესაც ჯილეხით ავადმყოფი ცხოველის ნეხვთან, შარდთან, სისხლთან, ლეშთან და სხვასთან ერთად ჯილეხის ბაცილები მიწის სიღრმეში ხვდებიან, ისინი იქ თავის ერთ ბოლოებთაგანზე **სპორებს** ანუ **სათესლე მარცვლებს** იკეთებენ და ამ სათესლე მარცვლებში მათ შეუძლიათ თავისი სიცოცხლე მეტი თუ არა ექვს—ათ წლამდის თავისუფლად შეინახონ, თუ ეს **სპორები** რამე მიზეზების გამო (მიწის ჭია—ლოკოკინების მიერ სპორების მიწის ზედაპირზე ამოტანა, წყალის მიერ ნიადაგის გატანა, მიწის გადაბრუნება) შემდეგში ისევ მიწის ზედაპირზე იქნებიან გამოტანილი, მზის სხივებისაგან გათბობისათანავე ისინი ჯილეხის ბაცილებათ გადაქცევას იწყებენ და მცენარეებსა და ბალახებს მილიარდობით ეფინებიან.

როდესაც ასეთ ბალახს ცხოველი სძოვს, ამ უკანასკნელთან ერთად **ჯილეხის სპორებსა** და **ბაცილებსაც** ჰყლაპავს იგი და ამნაირად მას **ჯილეხი** ემართება.

**ჯილეხის** სპორებს შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს ყველა იმ პირობებს, რომლებისაგან საზოგადოთ ყოველთვის იღუპებიან ჯილეხის ჩხირები.

**სპორებში** მოთავსებულ ბაცილებს ვერაფერს ვერ უშვრება ვერც მზის სხივების საშუალებით გამოშრობა, ვერც 60 გრადუსიანი სითბო, ვერც ცოტა ხნით დუღილი, ვერც ლპობა და ვერც სუსტი სადეზინფექციო ხსნარები.

**სპორების** მოსასპობად საჭირო ზევით ჩამოთვლილ **ჯილეხის** საწინააღმდეგო საშუალებათა მოქმედების დიდხანს გაგრძელება და ზედმიწევნით მაგარი სადეზინფექციო ხსნარები, როგორც არიან, მაგალითად: სულემის 1 ნაწილი წყლის 1000 ნაწილში გახსნილი, ქლორის კირის 1 ნაწილი წყლის 50 ნაწილში გახსნილი და სხვა.

პირველი ხსნარი სპობს ჯილეხის სპორებს 10 წუთში, ხოლო მეორე ორ დღეში.

ვეტექიმი **ფარეიშვილი.**

## ბიბლიოგრაფია·

### ა. რაფესი.

„წითელი არმია“. 1925 წელი, ქ. ტფილისი.

**1-ლ ქ. მსრ. დივიზიის პოლიტგანყოფილების გამოცემა.**

ამ დღეებში 1-ელ ქ. მსრ. დივიზიის პოლიტგანყოფილებამ გამოსცა ა. **რაფესის** მიერ შედგენილი წიგნის—„წითელი არმია“-ს ქართული თარგმანი.

წიგნი მეტად ძვირფას და აუცილებელ საჭირო მასალას შეიცავს წითელი არმიის ყოველი შემადგენლობისათვის.

ამ წიგნში შეუძლია გაეცნოს წითელ-არმიელი წითელი არმიის აღმშენებლობას, მის ზრდას და განვითარებას, ძირითად და ტერნაწილების სტრუქტურას, ეროვნულ საკითხებს წითელ არმიაში და სხვა.

წიგნში შეტანილია წითელი ფიცი და საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტი.

წიგნი შეიცავს 70 გვერდს, გამოცემულია სუფთად, კარგ ქაღალდზე და დაბეჭდილია ნათელი ასოებით. თარგმანი მეტად მარტივი და გასაგებია წითელ-არმიელთათვის.

მაგრამ წიგნში შეპარულა შეცდომა სამსახურის ვადის შესახებ (37 გვერდზე). მთარგმნელს და გამომცემლობას მხედველობიდან გაუშვია ის, რომ ძველი დადგენილებები სხვა და სხვა სახის ნაწილებში სამსახურის ვადის შესახებ შეცვლილ იქნა, რის თანახმად სამსახურის ვადა შემოღებულია არა იმის მიხედვით, როგორც ზემოაღნიშნულ გვერდზეა ნათქვამი, არამედ შემდეგი წესით.

ქვეითა ნაწილებში—2 წელი.

ცხენოსან ნაწილებში—2 წელი.

საზღვაო ფლოტში—4 წელი.

საჰაერო ფლოტში—3 წელი.

ი. ს.

## ამბები სოფლებიდან

**ახალციხის ტყეების ექსპლოატაცია.**

ახალციხის აღმასკომმა დაამტკიცა სამაზრო სატყეო კომიტეტის მიერ წარდგენილი გეგმა ტყეების ექსპლოატაციის შესახებ.

**სასოფლო გზების შეკეთება.**

სოფ. ტოლას, (ქვ. რაჭა) გლეხებმა დაადგინეს თავიანთი საშუალებით შეაკეთონ ყველა უვარგისობაში მოსული სასოფლო გზები.

**წყალდიდობის საშიშროება.**

სოფ. გიორგეთის (ვაბალი, ალაზან გაღმა) გლეხებმს მიმართეს სიღნაღის აღმასკომს დახმარების აღმოსაჩენათ, წყალდიდობისაგან ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლათ წინასწარ ზომების მიღების საქმეში.

**სოფლის შუამდგომლობა.**

სოფ. თედელეთის, ხახიეთის, ჯალაბეთის და **ხინაგაურის** მცხოვრებლებმა (ოსებითაა დასახლებული) შუამდგომლობა აღძრეს შორაპნის მაზრაზე, როგორც უფრო დასამხრის ადმინისტრატიულ ერთეულზე მიწერის შესახებ.

**მეფუტკრეობა იმერეთში.**

შორაპნის მეფუტკრეთა ამხანაგობამ დაადგინა შეიძინოს ახალი სკები და მოაწყოს მეფუტკრეობის სანიმუშო ფირმა.

**სასოფ. იარაღების შეძენა.**

ბორჩალოს მაზრაში არსებულმა გლეხების არტელმა „კროხ“-მა ტფილისში შეიძინა ახალი ტიპის გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

## საბჭოთა არჩევნების მიმდინარეობა.

### ტფილისის მაზრაში.

— **მაისის (ყოფ. მარტყოფის) თემი** არჩევნები დასრულდა. აირჩიეს ყველა სასოფლო საბჭოები.

— **ახალსოფელში.** ახალსოფლის სასოფლო საბჭოს არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 726 ამომრჩეველმა. აქედან 195 ქალია.

— **სოფ. ნორიოში.** სასოფლო საბჭო უკვე აირჩიეს. არჩევნებში მონაწილეობა მიიღ[ო] 1374 მოქალაქემ. მათ შორი[ს] 389 ქალია.

— **სოფ. დიდ ლილოში** ... სოფ. მაისში უკვე აირჩიეს სა[სო]ფლო საბჭოები. არჩევნებ[ში] დიდის აღფრთოვანებით ცხად[დ]ებოდენ მცხოვრებლები.

## ახალი ამბები

— **ჯარში მყოფ ეროვნულ** უმცირესობათა შორის, როგორიც არიან ოსები, სომხები და სხვ. პოლიტგანყოფილების სასკოლო სექციის დადგენილებით პოლიტ-მეცადინეობა იწარმოებს მათ სამშობლო ენაზე.

— **საინსტრუქტორო თათბირები.** პოლიტგანყოფილებამ დაადგინა ხშირად მოაწყოს პოლიტხელებისა და სამხ. მასწავლებელთა საინსტრუქტორო თათბირები.

— **ჩქარი საექიმო დახმარებისათვის.** ა. კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა საზღვარგარეთიდან მიიღო ორი ავტოეტლი ტფილისის სასწრაფო საექიმო დახმარების სადგურისათვის.

— **ტყის კვირეული.** მიწადმოქმედ. სახ. კომისარიატის მიწა—წყლის კავშირთან ერთად აწყობს ტყის კვირეულს, რომელიც დაიწყება 10 მარტიდან. კვირეულის მიზანია გლეხობაში აგიტაციის გაწევა ტყის დაცვის მნიშვნელობის შესახებ.

— **ვენახების სივრცე საქართველოში.** მიწად—მოქმ. კომისარიატის ცნობით ამჟამად საქართველოში ვენახების სა[ე]რთო სივრცე უდრის 30.071 დ[ესეტინას].

— **გლეხკომების ყრილ[ო]ბაზე.** სრულიად საქ. გლეხკ[ომ]თა ყრილობაზე დასმულ იქ[ნა] საკითხი კოოპერაციის და მ[ე]ურავლიანობასთან ბრძოლის შ[ე]სახებ.

— **სამხედრო ნაწილებ[ის]** გუნდის ფერშლების და მ[ოწ]ყალე დების გამოცდას მოახდ[ე]ნს ჯამრთელობის სახალხო კ[ო]მისარიატი—15 მაისამდე.

— **ბამბის საწმენდი ქ[ა]რხნები.** ამჟამად მთელ ამიე[რ]კავკასიაში მუშაობს 19 ბამ[ბის] საწმენდი ქარხანა.

— **სამოსწავლო სრ[ო]**... სამშაბათს, საგარნიზონო ... სროლო საველე მოედან[ზე] (ვაკე) იწარმოებს სამოსწავლ[ო] სროლა, რაზედაც აფრთხილ[ე]ბს მოქალაქეებს ტფილ[ის]ის კომენდანტი.

## ხელოვნება.

—**წითელ არმიელთა კლ[უ]ბში.** ხვალ, წითელ-არმიელ[თა] ცენტრალურ კლუბში შესდგ[ე]ბა სანიტ-განათლების საღამ[ო] წითელ-არმიელთათვის. საღ[ა]მოზე დაიდგმება პიესა.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენს გაზეთში ადგილი დაუთმოთ შემდე[გს]. გაზ. „წითელ-არმიელი“-ს № 45-ში მოთავსებულია შემთხვევ[ით] შესულ არმიელის წერილი „ლოთი კლუბის გამგე“. წერი[ლ]ის ავტორი ჩირქს მცხებს პირადათ მე და იმ ამხანაგებს, რომლებიც ჩემთან იყვენ. ავტორი იქამდეც კი მიდის, რ[ომ] მე პროფესიონალ ლოთადაც კი მნათლავს.

სამი წელია, რაც წითელ ჯარში ვმსახურებ და ყვე[ლა]ის ამხანაგები, რომლებთანაც მე მიხდებოდა მუშაობა დაამტ[კი]ცებენ იმას, რომ ჩემი ლოთად მონათვლა—ცილის წამე[ბ]ა და მეტი არაფერი.

არ ვიცი წერილის ავტორი, რომელი ფაქტებით ამტ[კი]ცებს იმას, რომ მე „ლოთ კლუბის გამგეთ მნათლავს“.

აღნიშნულ წერილში მოყვანილი ადგილები არ შეე[ფე]რება სინამდვილეს. სასადილოში სადილის ჭამა არ მიმაჩ[ნია] „უზნეო მოქმედებათ“.

ამიტომ ჩემი სიმართლის აღსადგენათ, შემთხვევით [შე]სულ არმიელს ვიწვევ სამედიატორო სასამართლოში და მ[ე] სამართლეების დასახელებას ვანდობ წერილის ავტორს. პა[სუ]ხს ველი სამი დღის განმავლობაში. მასვე ვანდობ სასა[მა]რთლოს სხდომის დროისა და ადგილის დანიშვნას.

1-ლ ლეგ. კლუბის უფროსი **ვ. სიხარულიძე.**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ლ. ჩანტლაძე**



სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.